ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11389/01
20/11/2019

11389-01-2-201911201052

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 1 ნოემბრის N22/8394 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე 52766 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვებას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საქმიანობაზე, იგივე ტერიტორიაზე, თქვენს მიერ მიმდინარე წლის 1 აპრილს სამინისტროში წარმოდგენილი იქნა სკრინინგის განცხადება (N 22/1963), რომელზეც სამინისტროს მიერ გაცემულია მინისტრის ბრძანება N 2-501 (10.06.2019) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვება დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განმეორებით განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

დანართი: სკრინინგის გადაწყვეტილება;

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე - მ.შ.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013